სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი

DEPARTMENT OF MEDICAL STATISTICS

სამედიცინო სტატისტიკის მიმართულებით დკსჯეც ქვეყანაში წამყვან როლს ასრულებს.

სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ძირითადი მიზანია ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის დარგში სტატისტიკის წარმოება, ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა და მისი სრულყოფა სწორი სტრატეგიის, ტაქტიკისა და ოპერაციული გადაწყვეტილებების მისაღებად. 2013 წლიდან დეპარტამენტი მოიცავს ორ ქვედანაყოფს – რუტინული სტატისტიკისა და რეგისტრების სამმართველო და მონაცემთა ანალიზისა და წარდგენის სამმართველო.

The NCDC plays the leading role in the medical statistics field in Georgia.

The goals of the Medical Statistics Department are to produce statistics in the field of healthcare and medicine; to create and strengthen the health information system to make appropriate decisions. Since 2013 the Department of Medical Statistics has included two units: Routine Statistics and Registries Division and Data Analysis and Presentation Division.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები:

- ✓ სამედიცინო დაწესებულებებიდან სტატისტიკური მონაცემების შეგროვება (რუტინულად და რეგისტრების მეშვეობით) და მართვა (დამუშავება, კონტროლი, ვალიდაცია);
- ✓ ჯანდაცვის ინდიკატორების გაანგარიშება და ავადობის ტენდენციების გამოვლინება;
- ✓ სტატისტიკური მონაცემების აღწერილობითი ანალიზის ჩატარება, რომელიც ქვეყნდება პუბლიკაციების და სხვადასხვა მასალის სახით;
- ✓ ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევების ერთიანი ბაზის მხარდაჭერა.

THE MAIN FUNCTIONS OF THE DEPARTMENT OF MEDICAL STATISTICS:

- ✓ **Collect statistical data from the medical facilities (through routine surveillance and through registries), manage this information (analyses, control, validate);**
- ✓ **Calculate the health indicators and describe disease trends;**
- ✓ **Conduct the descriptive analysis and present the statistical data through publications and a variety of materials;**
- ✓ **Ensure database' management.**

1996 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა სტატისტიკური ცნობარი „ჯანმრთელობის დაცვა – საქართველო", რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები.

ცნობარებში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოიყენება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც ხელს უწყობს საქართველოს მაჩვენებლების შედარებას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

The statistical yearbook "Health Care in Georgia" is published from 1996 in Georgian and English languages. It represents the annual edition comprising the basic statistical indicators related to public health and health care resources of the country.

The indicators provided by the yearbooks are calculated using the WHO recommended methodologies. The latter makes possible to compare the respective data from Georgia to the data from other parts of the world.

სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან: **WHO, UNICEF, UNFPA, IHME,CIDA, UNFPA** და სხვა, ყოველწლიურად ხორციელდება ჯანმო-ს მონაცემთა ბაზების „ჯანმრთელობა ყველასათვის" და „ჯანდაცვის რესურსები" განახლება. დეპარტამენტის თანამშრომელთა თანაავტორობით ჟურნალში **"The Lancet"** გამოქვეყნდა ექვსი სტატია.

Department of Medical Statistics has close collaboration with international organizations, as follow: WHO, UNICEF, UNFPA, IHME,CIDA, UNFPA, etc., annually update WHO databases of "Health for All" and "Health Resources". 6 articles were published in the Lancet by Department's co-authorship.

ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა „ჯანდაცვის ინფორმაციის სამხრეთ კავკასიის პროექტი" (1999-2004), რომელსაც კანადის საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (CIDA) მხარდაჭერით ახორციელებდა კანადის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო საზოგადოება. პროექტმა ხელი შეუწყო თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების საკითხებში გადამზადებული კადრების შექმნას ქვეყნისა და რეგიონების დონეზე.

An important step forward in Healthcare information system development was "The South Caucasian Health Information Project" (1999-2004), which was implemented by the Canadian Society for International Health in cooperation with the Canadian International Development Agency (CIDA) support. The project contributed to create trained human recourses capacity on state and regional levels.



საქართველოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პერიოდიდან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარებაში. თანამშრომლობის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის მე-10 გადახედვის მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვა (2000), რისთვისაც წლების განმავლობაში ტარდებოდა ავადობისა და სიკვდილიანობის რეგისტრაციის შესასწავლი კასკადური ტრენინგები სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის. რეგიონულ დონეზე შექმნილია ტრენერთა კორპუსი. ამასთან, საქართველო ევროპის რეგიონის პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2011-2012 წლებში საკუთარ ენაზე გადათარგმნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ავადობისა და სიკვდილიანობის კოდირების ვებ-დაფუძნებული ინტერაქტიული სასწავლო პაკეტი, რომელიც მომზადდა სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ძალებით და განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე.

The World Health Organization plays an important role in the development of the health information system in Georgia. An important milestone of the collaboration was the implementation of the 10th Revision of the International Statistical Classification of Diseases and Related Health Problems throughout the whole country (2000). A lot of cascade trainings for different target groups have been conducted to study the morbidity and mortality registration. The trainers' potential has been developed at regional level. However, Georgia was the first country in the European region, having translated The World Health Organization's Web-based interactive training tool for coding morbidity and mortality in 2011-2012, it was prepared by the Department of Medical Statistics and was uploaded on the Center's web-site.



სამედიცინო სტატისტიკის განვითარებისა და მონაცემთა სტანდარტიზაციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო ქვეყანაში სამედიცინო ჩარევების საერთაშორისო კლასიფიკატორების შემოღება. ინფორმაციის დიდი ნაკადების რეგისტრირებისა და დამუშავებისათვის შეირჩა საქართველოსათვის შესაფერისი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო ჩარევების კლასიფიკატორები: სკანდინავიის ქვეყნების სამედიცინო-სტატისტიკური კომიტეტის (NOMESCO) მიერ შემუშავებული ქირურგიული პროცედურების კლასიფიკატორი (NCSP) სტაციონარული მომსახურებისათვის და პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორი (ICPC) ამბულატორიული მომსახურებისათვის. ჩატარდა ტრენინგები მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახალი კლასიფიკატორები დაინერგა 2011 წლიდან.

Implementation of the unique classifications of health interventions and services was an important step for reinforcing the data standardization in Georgia. Classifications of out-patient and in-patient interventions suitable for Georgia have been chosen for adequately managing and registration a great volume of data: NOMESCO Classification of Surgical Procedures (NCSP) for in-patient and the International Classification of Primary Care (ICPC) for outpatient care. The trainings have been conducted countrywide. The classifications have been implemented since 2011.



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული საინფორმაციო სისტემის ფარგლებში შემუშავდა სტაციონარული დაწესებულებების ელექტრონული ანგარიშგების სისტემა (2014). სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგები ყველა სტაციონარული დაწესებულების სტატისტიკოსებთან.

სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს დეტალური ანალიზი სქესის, ასაკის, დიაგნოზის, ოპერაციული ჩარევისა და სხვა პერსონიფიცირებული პარამეტრების ჭრილში.

Within the scope of the administrative information system of the Ministry of Labour, Health and Social Affairs the new, case-based electronic hospital discharge reporting system was developed (2014). Statisticians from all countrywide in-patient health facilities have been trained by Medical Statistics Department staff.

The system enables to carry out detailed analysis of data in accordance to gender, age, diagnosis, surgery, procedures, and other personalized features.

2015 წელს ქვეყნის მასშტაბით დაინერგა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რომელიც წარმოადგენს ონკოლოგიური მონაცემების სისტემური შეგროვების, შენახვის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და წარდგენის ორგანიზებულ სისტემას. ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კიბოს ინციდენტობისა და პრევალენტობის ხარისხიანი მონაცემების შეკრების თვალსაზრისით.

ასეთი ტიპის რეგისტრის გამოყენება მნიშვნელოვანია კიბოს კონტროლის პროგრამების შეფასების და, შესაბამისად, პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროგრამების დაგეგმარებისათვის, გაწეული სერვისების ეფექტურობის განსასაზღვრად, ონკოლოგიური პაციენტის სამედიცინო მომსახურების გაწევის დინამიკური დაკვირვებისთვის, კიბოს სკრინინგისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების მართებულად დანერგვისთვის.



Population-based Cancer Registry is an organized system for collecting, storing, analyzing, interpreting and presenting the cancer data. It was implemented in 2015 countrywide. The Registry plays a significant role in terms of gathering qualitative data of cancer incidence and prevalence.

Using this type of registry is important for cancer control programs' assessment, for the defining and planning priority interventions, for cancer screening and for proper implementation other preventive measures, as well as for evaluation of the service effectiveness to determine the oncological patients' medical care dynamic observation.



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული საინფორმაციო სისტემის ფარგლებში შემუშავდა ამბულატორიული დაწესებულების ელექტრონული ანგარიშგების სისტემა (2016). სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგები ყველა ამბულატორიული დაწესებულების სტატისტიკოსებთან.

სისტემის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს დეტალური ანალიზი სქესის, ასაკის, დიაგნოზისა და სხვა პერსონიფიცირებული პარამეტრების ჭრილში.

Within the scope of the administrative information system of the Ministry of Labour, Health and Social Affairs, the new case-based electronic reporting system for primary health care facilities was implemented throughout the country (2016). Statisticians from all out-patient health institutions were trained by Medical Statistics Department staff.

The latter made it possible to analyze data by gender, age, diagnosis, and other personalized features.

2016 წელს ამოქმედდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ანტენატალური და სამეანო მომსახურების ზედამხედველობის აღრიცხვიანობის ელექტრონული სისტემა „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული" („დაბადების რეგისტრი"). მოდულის მეშვეობით ხორციელდება თითოეული ორსულის უწყვეტი მონიტორინგი პირველი ანტენატალური ვიზიტიდან მშობიარობის ჩათვლით.

სისტემაში, ასევე, ფიქსირდება მონაცემები ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დაბადებისას. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს დაბადების რეგისტრი, ეს ინიციატივა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

Pregnant women and newborn health surveillance electronic module ("Birth Registry") was implemented all over the country since 2016. The module is aimed at continuous monitoring of pregnant women from the first antenatal visit to the delivery.

The system also registers data about the newborn's health at birth. Taking into consideration that only the few countries in the world have the Birth Registry, this initiative is an important step forward for Georgia.